AW1-I ანალიტიკური წერა

სამუშაოდ გეძლევათ 70 წთ.

გაითვალისწინეთ: ამ ფურცლებზე შესრულებული ნაწერები არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ცენტრში პრესტიჟულ ადგილას მდებარე არქეოლოგიური მუზეუმი განახლდა. ახლად გარემონტებულ შენობაში, საექსპოზიციო დარბაზებთან და სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრთან ერთად, სუვენირების მაღაზია გაიხსნა, სადაც იყიდება არქეოლოგიური არტეფაქტების ასლები, წიგნები არქეოლოგიაზე, ღია ბარათები და ა. შ. განახლების შემდეგ მუზეუმი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მისი შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამავე ქალაქის სამხატვრო გალერეის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ ამგვარი მაღაზიის გახსნა დადებითად იმოქმედებდა მათ ბიუჯეტზეც. ადმინისტრაციამ გააუქმა ერთ-ერთი საექსპოზიციო დარბაზი, რომელშიც თანამედროვე ხელოვნების ნიმუშთა პერიოდული გამოფენები იმართებოდა, და იქ სუვენირების მაღაზია გახსნა. მაღაზიაში იყიდება გალერეაში დაცული ექსპონატების ღია ბარათები, პლაკატები, წიგნები და ა. შ.

აღმოჩნდა, რომ გალერეის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, გალერეის პოპულარობამ და შემოსავალმა კი არ იმატა, არამედ პირიქით, იკლო.

ახსენით სამხატვრო გალერეის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებების წარუმატებლობის შესაძლო მიზეზები; გააანალიზეთ, რამდენად საკმარისია ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია ადმინისტრაციის ქმედების შესაფასებლად, მოიყვანეთ არგუმენტები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსათვის

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ბუნების დაცვისა და ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებისათვის უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მოქალაქეთა ეკოლოგიურ განათლებაზე იზრუნოს, ვიდრე ჯარიმების სისტემა შემოიღოს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; ახსენით თქვენი პოზიცია, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსათვის